ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
კომისიის თავმჯდომარე: ინგა სეხნიაშვილი
კომისიის წევრი: ირაკლი კორძახია
კომისიის წევრი: ხათუნა ფურელიანი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.06.2021

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 005/21

I შეკითხვა:

2014 წელს ადვოკატ „გ"-ს მიერ, როგორც ნოტარიუსის ფუნქციების განმახორციელებელი პირის მიერ, დამოწმებულ იქნა ნასყიდობის ხელშეკრულება (იმ დროისათვის „გ" იყო ნოტარიუსი).

დღეის მდგომარეობით, ახალ შემძენსა და მომიჯნავე ნაკვეთის მესაკუთრე მესამე პირს შორის არის კონფლიქტი, რადგან ამ უკანასკნელს ყოველგვარი ნებართვის გარეშე შემძენის კუთვნილი მიწის ნაკვეთზე განთავსებული აქვს მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობანი.

მესაკუთრემ მიმართა თბილისის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას უკანონო შენობა-ნაგებობების დემონტაჟის მოთხოვნით. ამჟამად, მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება მესაკუთრის განცხადებასთან დაკავშირებით. მუნიციპალური ინსპექციის მიერ აქტის გამოცემის ან არ გამოცემის შემთხვევაში საქმე სავარაუდოდ, გაგრძელდება სასამართლოში.

შესაძლო ადმინისტრაციულ სარჩელში მოპასუხე იქნება თბილისის მერია, ხოლო თუ აღძრული იქნება სამოქალაქო სარჩელი მოპასუხე იქნება მესამე პირი, რომელსაც ადვოკატის მიერ ნასყიდობის დამოწმებისას სანოტარო მოქმედებასთან არანაირი შემხებლობა არ გააჩნია.

ადვოკატის მიერ დამოწმებული იყო მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებაზე მათი ხელმოწერების ნამდვილობა და არა შინაარსი.

მოცემულ შემთხვევაში, ექნება თუ არა ადგილი ინტერესთა შეუთავსებლობას პროცესში „გ"-ს ადვოკატად გამოსვლისას მესაკუთრის ინტერესების დასაცავად?

II ანალიზი:

კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის ქმედებების აღმწერი ჰიპოთეტური ფაქტები განსახილველია ინტერესთა შეუთავსებლობის მარეგულირებელი შემდეგი ნორმის გათვალისწინებით:

„დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა ... ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი 8.3)

ეთიკის კომისიამ ერთ-ერთი გადაწყვეტილებით დისციპლინური საქმე 045/20 13.08.20, პარ.8.9 იმსჯელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.3 მუხლის ფარგლებში, რაც ეხებოდა ადვოკატის მიერ მანამდე, მოსამართლის სტატუსით ერთ-ერთ საქმის განხილვას. კომისიამ შეაფასა ადვოკატის მიერ მიმდინარე საქმეში ჩართულობა უკავშირდებოდა თუ არა მის მიერ მოსამართლის სტატუსით განხილულ საქმეს და ეს იყო თუ არა ინტერესთა შეუთავსებლობა, ამ მხრივ, კომისიამ ვიწროდ განმარტა ნორმა. დადგინდა, რომ საქმეები ერთმანეთთან იყო დაკავშირებული, თუმცა რადგანაც იგივე დავა არ იყო, არსებული რეგულაციიდან გამომდინარე განიმარტა, რომ ეს ვერ იქნებოდა დისციპლინური გადაცდომის საფუძველი: „იმ დროისათვის, როდესაც ადვოკატი მოსამართლის ფუნქციას ასრულებდა, არ ჰქონდა ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვის ეთიკური ვალდებულება არც ერთი მხარის მიმართ, განსხვავებით ადვოკატისაგან. სწორედ ამიტომ არ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს კანონის 8.3 მუხლით განსაზღვრული შეზღუდვა დაკავშირებულ საქმეებზე. საპროცესო კოლეგიის განმარტებით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.3 მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის, აუცილებელია სახეზე იყოს ერთი და იგივე საქმე. შედეგად, საქმე, რომელზეც ადვოკატმა მოსამართლის რანგში მიიღო გადაწყვეტილება არ წარმოადგენდა იმავე მხარეებს შორის იმავე დავასთან დაკავშირებით ნაწარმოებ საქმეს, რომელზეც შემდგომში ის ადვოკატის სტატუსით ჩაერთო, როგორც საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარეთა დამცველი“.

ამ შემთხვევაში, შესაფასებელია, ნოტარიუსის ფუნქციის შესრულებისას, კონკრეტულ გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმებამ წარმოქმნა თუ არა ინტერესთა შეუთავსებლობა მიმდინარე საქმესთან, რომელშიც ადვოკატი წარმოადგენს უძრავი ქონების ახალი მესაკუთრის ინტერესებს. ნოტარიუსს სანოტარო მოქმედების შესრულებისას პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებს პროფესიული საიდუმლოების დაცვას: „პროფესიული საიდუმლოების არსებობა და მისი დაცვა ნოტარიუსის უპირველესი უფლება და ვალდებულებაა, ნოტარიუსი უზრუნველყოფს კლიენტის შესახებ ნებისმიერი სახის (პირადი ან კომერციული საიდუმლოების შემცველი) ინფორმაციის დაცვას გამხელისაგან, რაც მისთვის, აგრეთვე მისი სანოტარო ბიუროსს თანამშრომლებისათვის ცნობილი გახდა თავიანთი პროფესიული ფუნქციის აღსრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება დროში შეზღუდული არ არის“ (ნოტარიუსთა დეონტოლოგიის (ეთიკის) კოდექსი, მუხლი 6).

შეკითხვიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ადვოკატი მიმდინარე საქმეში მიწის ნაკვეთის „ახალი მესაკუთრის“ წარმომადგენლად ჩაერთო და სადავო სწორედ მიწის ნავეთის „საზღვრები“ გახდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან, რომელსაც სადავო ნაკვეთზე განთავსებული აქვს ნაგებობა. ნოტარიულად დამოწმებული „ნასყიდობის ხელშეკრულების“ შინაარსი შესაძლებელია დავაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდეს, რადგან ის უფლებადამდგენი დოკუმენტია და დავა სწორედ ამ

გარიგების საგანს ეხება. შესაბამისად, უნდა შეფასდეს იმავე მიწის ნაკვეთზე მიმდინარე დავა, რაზეც გარიგებაზე ხელმოწერა ნოტარიულად დამოწმდა არის თუ არა „იგივე საქმე“ და ფასდება თუ არა ინტერესთა შეუთავსებლობად. მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ ნოტარიუსის ფუნქციის შესრულებისას დამოწმდა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ნამდვილობა. აღნიშნული სანოტარო მოქმედებისას მოწმდება დოკუმენტში აღნიშნული ფაქტების ნამდვილობა, რაზედაც ხელს აწერენ დაინტერესებული პირები. „კერძო აქტის შინაარსზე, მასში მოყვანილი ფაქტებისა თუ განცხადებების ნამდვილობაზე პასუხისმგებელნი არიან ხელმომწერი მხარეები. მათვე ეკისრებათ კერძო აქტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობის მტკიცების ვალდებულება, იმ შემთხვევაში, თუ მისი შინაარსი სადაო გახდა“ (სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი - საქართველოს ნოტარიატი N1 2005, გვ.15).

მხოლოდ შეთანხმებაზე ხელმოწერის დამოწმებით ადვოკატს ნოტარიუსის ფუნქციის შესრულებისას არ მიუღია „იმავე საქმეზე“ კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა ადვოკატს მიმდინარე საქმეში გამოეყენებინა. შედეგად, აღნიშნული სანოტარო მოქმედება არ არის ხელშემშლელი გარემოება, რომელიც ადვოკატს შეუზღუდავს „ახალი მესაკუთრის“ წარმომადგენლობას.

დასკვნა:

ადვოკატის მიერ, წარსულში, ნოტარიუსის ფუნქციის შესრულებისას იმ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დამოწმება, რომელიც უკავშირდება მიმდინარე საქმეში „ახალი მესაკუთრის“ წარმომადგენლობას არ წარმოადგენს ადვოკატის დისკვალიფიკაციის საფუძველს.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი /ხათუნა ფურელიანი/